საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/5255
11/04/2022

5255-2-08-2-202204111627

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტისათვის მომზადებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 ნოემბერს №2-1050 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და აღნიშნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებული იყო ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპის დროს, კონცეპტუალური პროექტის საფუძველზე.

გაცნობებთ, რომ ამჟამად საავტომობილო გზების დეპარტამენტს მიერ დასრულდა ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობა, შესაბამისად მიმდებარე დასახლებული პუნქტების როგორც უკვე დასრულებულ, ისე დაგეგმილ (ბაკურციხე-წნორის 16 კმ-იანი გზა) საავტომობილო გზასთან სრულყოფილი წვდომის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი გახდა კონცეფციის დახვეწა და პროექტში ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელება კერძოდ კი, დეტალური პროექტირების ეტაპზე დაიგეგმა ახალი ბაკურციხე-წნორის შემოსავლელი გზის (16 კმ) ფარგლებში ორდონიანი სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარის) მოწყობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება ახალი გზის უკვე დასრულებულ ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელ გზასთან დაკავშირება.

ვინაიდან, გზშ-ს ანგარიშზე, რომელზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 ნოემბერს №2-1050 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, არ ითვალისწინებდა გურჯაანის შემოვლით გზასთან ორდონიან

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარის) მოწყობას, წარმოგიდგენთ, სკრინინგის ანგარიშს რომელიც ეხება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში საწყისი მონაკვეთის კორექტირებას, ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელ საავტომობილო გზასთან დამაკავშირებელი ორდონიანი კვანძის (გზაგამტარის) მოწყობის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი”-ს შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, ელექტრონული სახით გიგზავნით, სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და მოგვაწოდოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

პავლე გამყრელიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე